

ფორმოსალსა და მანდარინზე აზოფიანი სასუქების ფორმების

### გავლენის შედარებითი დახასიათება

ამჟამად სსრ კავშირში ციტრუსოვანთა კულტურების ყველა სახეობი-საცვის შემუშავებულია მათი მოვლა-მოყვანის ერთიანი ტექნოლოგია, რო-მელიც განოყიდების მხრივ ითვალისწინებს სასუქების ნორმების დიფერე-ნცირებას მხოლოდ ნარგაობის ასაკისა და ნიადაგების ნაყოფიერების მი-ხედვით.

სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში (მ. ბ. გაბისონია და სხვ. 1962; ი. ი. მარშანია, 1971; ი. ლ. გამყრელიძე, 1972; მ. ლ. ბზიავა, 1973) ეა-მოქვეყნებული მრავალწლიანი საველე ცდების მონაცემების ანალიზი საშუა-ლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კვების პირობებისადმი, განსაკითხებით აზოტისაღმი ცალკეული სახეობის ციტრუსოვანთა (მანდარინი, ფორმოსალი, ლიმონი) მოთხოვნილება სხვადასხვაზე. აზოტიანი სასუქების ფორმების გან-სხვავებული გავლენა განპირობებულია როგორც აზოტის წყაროთი (ამიაკუ-რი, ნიტრატული ან ამიდური), ასევე თანმხები იონებითა და მუავური ნარჩენებით. ამიტომ სასუქების შეთვისების უნარი როგორც მოსავლის, ასევე ქიმიური შეღგენილობის მიხედვით შეიძლება გახდეს ციტრუსოვანთა სხვადასხვა სახეობის მეტ აზოტიანი სასუქების შეთვისების უნარის დია-გნოსტიკური ნიშანი.

ჩვენ კვლევის შიზანი იყო მანდარინისა და ფორმოსალის მოსავალზე, ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და ქიმიურ შეღგენილობაზე აზოტიანი სასუ-ქების ფორმების გავლენის შედარებითი შესწავლა.

უნიუს ჯიშის მანდარინზე ცდა დაყენებულ იქნა 1966 წელს აჭარის ასსრ სოფელ ახალსოფელში, ვაკე რელიეფის პირობებში. ნიადაგი ძირი-თად და ამონთხეულ ქანებზე წარმოქმნილი წითელმიწაბა გაუნოყიერებელ ვარიანტის ნიადაგის 0-20 სმ ფენაში აგროქიმიური მაჩვენებლები 1976 წელს შემდგენ იყო: ჰუმური - 4, 8 %, ჰილროლიზებადი აზოტი - 12 მგ, მოძრავი ფოსფორი და კალიუმი-შესაბამისად 31 და 20 მგ 100 გრამ ნია-დაგში, pH მარ. - 3, 25, გაცვლითი მუავიანობა - 5, 72 მგ/ეგვ. 100 გრამ ნია-დაგში.

ფორმოსალ ვაშინგტონ-ნაველზე ცდა დაყენებულ იქნა 1974 წელს სა-მხრეთ დასავლეთ ექსპოზიციის 12-15° დახრილობის დატერასებულ ფერდო-ბებზე. საცდელ დანაყოფებზე გაშენებული ფორმოსალი, სადაც ტარლებო-და ცდა აზოტიანი სასუქების ფორმებზე, 1971 წელს მოყინა. ორწლიანი მცენარეები ჩარგულ იქნა მავე ურმოებში.

ჩვენევის წლებში აზოტი შეგვენდა ერთ ხეზე 250 გრამის ნორმით. ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლებთა საერთო ჰუმური - 4, 69 %, საერთო

ლი - 0,20 %, პიდროლიზებადი აზოლი, უოსფორისა და კალიუმის მო-  
ვი შენაერთები (ონიანის მიხედვით) შესაბამისად 10,6-24,5 და  
5 მგ 100 გრამ ნიაღაგში pH მარ. - 3,85 გაცვლით მუავიანობა  
69 მგ/ეკვ 100 გრამ ნიაღაგში.

ცდების განმეორება უოველ დანაყოფში 5 - ჯერადიდა. უოველ დანაყო-  
ოთხი საალტიცხვო და ორი ლამცველი ხეა. მანდარინის მოსავალს ვი-  
ჰით 1973-1976, ხოლო უორთოხლისა - 1979-1982 წლებში. უოველი  
ლრიცხვო მცენარიდან ყველა ნაყოფს კპრეფლით ტექნიკური სიმწიფის  
საში.

ბიოქიმიური ანალიზებისათვის ყველა ხის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხა-  
ბზე შევარჩიეთ მანდარინისა (1976 წლის მოსავლიდან) და ფორთოხლის  
1982 წლის მოსავლიდან) ორ-ორი ნაყოფი, სულ 80 ნაყოფი ყველი ვარია-  
ციან.

ახალ ნაყოფებში განვსაზღვრეთ ჩარისხობრივი მაჩვენებლები: შაქრე-  
ჯამი, რეცულირებადი შაქრები-ბერტრანის მიხედვით, ტიტრული მუ-  
ანობა, ვიტამინი C-მურის მიხედვით, აზოტის შემცველობა ნაყოფში  
ნაყოფის შესაბამისი ნაწილების დაწვითა და გამოწურვით კელდალის მი-  
უვით, წყლის გამონაწურში თავისუფალი ამინმეუვების თვისებრივი და  
უღიობრივი შედგენილობა-იონგაცვლით ქრომატოგრაფიის მეთოდით  
ამინმეუვების აცტომატურ ანალიზატორზე ND - 1200 E.,

ცხრილი 1. ; აზოტიანი სასუქების ფორმების გავლენა ფორთოხლისა  
და მანდარინის მოსავალზე

ცდების სქემა	უორთოხალი, 1979- 1982 წლების საშუალო		მანდარინი, 1973 - 1976 წლების საშუალო	
	მოსავალი, კგ ერთ ხეზე	%	მოსავალი, კგ ერთ ხეზე	%
ასუქო	7,6	111	39,7	91
+ ამონიუმის სულფატი	6,9	100	43,7	100
+ შარდოვანი	10,3	149	44,9	103
+ ამონიუმის გვარჯილი	8,7	126	54,9	126
+ ამონიუმის გვარჯილი	9,2	133	50,2	116
+ მონტანგვარჯილი	10,8	157	--	--
+ ნატრიუმის გვარჯილი	12,2	180	46,8	108
+ შეს	--	--	58,5	135
± %	--	5,3	--	5,5
ICP05 კგ	1,5	--	8,0	--

1-ლი ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც ფორთოხლის, ისე მანდარინის  
წლის საშუალო მოსავალი მნიშვნელოვნად განსხვავებულია აზოტიანი სა-  
სუქების გამოყენებული ფორმების შეთვისების მიხედვით.

ფორთოხლისათვის უკეთესია ნატრიუმის გვარჯილი, შემდეგ მოდიან  
მონტანგვარჯილი (ამონიუმის გვარჯილისა და ამონიუმის სულფატის ნაზა-  
რი) და ამონიუმის სულფატი.

ცხრილი 2. აზოვტიანი სასუქების ფორმების გაცვენა ნაცვლის ხარისხოვან გაჩვენებლებსა  
და აზოტიან შემაღლენლობაზე

ცლების სქემები	ერთო ნა- ცვლის სა- შუალო მა- სა, გრამი ლები	ნაცვლის ჩბილობის ხარისხობრივი გაჩვენებლები			აზოტი, %	
		ნახშირაწყლები, %	დისაქი- ლები	შაქერბის ჯამში	ლიტრზე- მდგ %	საუროო გრ/100 გ
უსასუქო	148,3	3,90	7,62	11,52	0,99	52,8
PK	189,2	3,50	8,65	12,15	0,93	63,4
PK + ამონიუმის სულფატი	184,7	3,43	7,91	11,34	0,87	54,9
PK + მონტანგვარა ჯოლა	196,5	3,29	5,66	8,95	0,83	59,1
PK + ამონიუმის გვარჯილი	205,8	3,52	7,68	11,20	0,93	59,1
PK + შარლოვანა	171,7	3,16	5,57	8,73	0,87	57,0
PK + ნატრიუმის გვარჯილი	203,3	2,31	7,82	10,13	0,99	52,8
უსასუქო	53,2	1,50	4,72	6,22	0,79	40,2
PK	63,3	1,56	4,05	5,61	0,85	42,6
PK + ამონიუმის სულფატი	67,5	1,08	4,96	6,04	0,87	39,2
PK + უარდოვანა	59,3	1,26	5,20	6,46	0,88	38,2
PK + ამონიუმის გვარჯილი	64,6	1,44	4,24	5,68	0,82	41,4
PK + შფუ	59,0	1,44	4,77	6,21	0,91	40,2
						1,63
						0,96

მანდარინის მოსავალი ყველაზე მეტია შარლოვანა-ფორმალდეპილური სასუქის (გშს) და შარლოვანას, ანუ ამიღური ჯგუფის აზოტის შემცველი აზოტიანი სასუქების ფორმების შეტანისას.

ამავე ცხრილიდან ჩანს აგრეთვე, რომ აზოტის ეფექტი უორთოხლის მოსავალის მატებაში 26-80 % -ით გამოიხატება. ხოლო მანდარინისა-მოსავლის მატებაში 3-35 % -ით. ჩოგორუ ჩანს, მთლიანად ციტრუსოვანთა სხვადასხვა სახეობის მოთხოვნა აზოტზე 10 წლის ასაკამდე განსხვავებულია.

ერთ ხეზე სხვადასხვა ფორმის აზოტის 250 გრამის ნორმით შეტანისას ფორთოხლის მოსავლის მატება ერთ კილოგრამ აზოტზე მეტყეობს 5,8-17, ხოლო მანდარინისა 5,6-54,4 კილოგრამის ფარგლებში, ანუ აზოტისაგან მოსავლის მატების უფრო დაბალი პროცენტის მიუხედავად, ერთი კილოგრამი აზოტის ამოგება შარლოვანა-ფორმალდეპილური სასუქისა და შარლოვანას შეტანისას მანდარინს მნიშვნელოვნად უფრო მაღალი აქვს. შესაბამისად 45,6-და 54,4 კილოგრამი, ნაცვლად შარლოვანათი განუჟირებული ფორთოხლის მოსავლასა (5,8 კილოგრამი).

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ ხარისხის მაჩვენებლების (ჩედუცირებადი შაქრები და ვატამინი C) მიხედვით უორთოხლი სკარბობს მანდარინს.

შაქრების ჯამი ყველაზე მაღალია უორთოხლის დაბალმოსავლიანი ვარიანტებიდან, პირველ რიგში, PK ვარიანტიდან მიღებულ ნაყოფში, შევდგომ მოღიან ამონიუმის სულფატისა და ამონიუმის გვარჯილის შეტანის ვარიანტები, ხოლო C - ვიტამინის შემცველობით გამოიჩინებიან PK, მონტანგვარჯილათი და ამონიუმის გვარჯილათი განვყოფილებული მცენარეებიდან მიღებული ნაყოფები. ყველაზე მაღალი მუავიანობით ხასიათდებიან უსასუქობა და ნატრიუმის გვარჯილის შეტანის ვარიანტებიდან მიღებული ნაყოფები. ნაყოფის საშუალო მასა უფრო მაღალია ამონიუმის გვარჯილის, ნატრიუმის გვარჯილისა და მონტანგვარჯილის შეტანისას.

აზოტიანი სასუქების სხვადასხვა ფორმების შეტანა გაელენს არ ახდენს ნაყოფის აზოტიან C-შედგენილობაზე. PK ვარიანტილან მიღებულ ნაყოფში საერთო აზოტის შემცველობა მნიშვნელოვნად ნაკლებია, ალბათ, ცილოვანი აზოტის შემცირებული შემცველობის ხარჯზე.

შაქრების მიხედვით ყველაზე მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ხასიათდებან უსასუქო, შარლოვანასა და შარლოვანა-ფორმალდეპილური სასუქების შეტანის ვარიანტებიდან მიღებული მანდარინის ნაყოფები, ხოლო C ვიტამინის მიხედვით - PK და ამონიუმის გვარჯილის გამოცენების ვარიანტებიდან მიღებული ნაყოფები. შაქრების საშუალო შემცველობის მქონე უფრო მსხვილი ნაყოფი მიღებულია ამონიუმის სულფატის შეტანისას. აზოტიანი სასუქების ფორმები განსხვავებულ გვალენას ახდენენ ნაყოფში არაცილოვანი აზოტის შემცველობაზე. მისი ყველაზე დაბალი შემცველობა (0,81 %) აღინიშნა ნატრიუმის გვარჯილის შეტანის ვარიანტიდან მიღებულ, ხოლო ყველაზე მაღალი (1,08 %) - შარლოვანას გამოცენების ვარიანტიდან მიღებულ ნაყოფში, მაშინ, როდესაც საერთო აზოტის მიხედვით ეს ნაყოფები ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავდებიან.

არაცილოვანი აზოტის მიხედვით სხვაობა გარკვეულად დაკავშირებულია თვისისუფალი ამინმეუავების თვისებრივ და რაოდენობრივ შედგენილობასთან.

მე-3 ცხრილში მოყვანილია ამონიუმის სულფატის, ამონიუმის გვარჯილისა და შარლოვანას შეტანის ვარიანტების მცენარეებიდან შოკრეფილ ნაყოფებში თვისისუფალი ამინმეუავების განსაზღვრის შედეგები. მანდარინის ნაყოფში თვისისუფალი ამინმეუავების შემცველობა მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ფორთოხლის ნაყოფში. შარლოვანას შეტანისას მანდარინის ნაყოფში თვისისუ-

ცხრილი 3. , მანდარინისა და უორთოხლის ნაყოფის  
ჩბილობში თავისუფალი ამინმჟავების შემცველობის  
ცვლილება აზოტიანი სასუქების ფორმების გაცვენით  
( ამინმჟავები, მგ/100 გ მშრალ ნივთიერებაში)

ამინმჟავები	მანდარინი			ფორთოხლი		
	აზოტის უორმები		PK ფონზე	ამონიუმი		მანდ.
	სულფატი	გვარჯი	ვანა	სულფატი	გვარჯი	ვანა
ტრაპტოფანი	კვალი	6, 14	9, 41	0, 80	2, 18	3, 25
ლიზინი	40, 06	51, 28	9, 23	4, 86	17, 03	7, 43
ჰისტიდინი	1, 92	7, 29	კვალი	0, 96	4, 93	8, 64
ორნიტინი	8, 72	18, 79	5, 85	—	—	—
არგინინი	43, 21	56, 24	16, 07	6, 22	12, 84	5, 86
ასპარაგინმჟავა	206, 35	319, 77	54, 21	21, 36	40, 75	152, 56
თრეონინი	11, 97	20, 09	2, 46	1, 72	3, 41	6, 30
სერინი	93, 11	241, 72	30, 33	8, 44	18, 31	33, 08
გლუტამინმჟავა	140, 12	123, 39	23, 36	30, 61	29, 53	12, 92
პროლინი	358, 56	338, 02	150, 09	54, 61	137, 40	180, 85
გლიცინი	13, 79	16, 49	3, 25	3, 21	7, 40	6, 54
ალანინი	86, 80	117, 38	30, 85	10, 26	18, 96	25, 83
ცისტინი	—	3, 19	—	—	—	—
ვალინი	20, 69	15, 93	4, 35	4, 50	8, 77	7, 65
მეთონინი	—	3, 66	—	0, 67	1, 66	2, 30
იზოლეიცინი	4, 53	6, 57	0, 81	2, 41	3, 88	2, 07
ლეიცინი	13, 18	11, 26	2, 71	5, 55	11, 29	9, 25
ტოროზინი	7, 36	17, 79	2, 62	4, 11	11, 03	4, 52
ჰენილალანინი	14, 26	17, 74	4, 94	5, 74	13, 41	6, 54
— ამინერბომჟავა	304, 69	306, 31	101, 20	11, 29	49, 76	38, 55
კ ა მ ი	1369, 32	1689, 05	451, 74	176, 21	373, 39	513, 59

ფალი ამინმჟავების საერთო შემცველობა ყველაზე ნაკლებია, ხოლო ფურთოხლის ნაყოფში ყველაზე მეტი (ფორთოხლის ნაყოფში ძირითადად ასპარაგინმჟავასა და პროლინის, ხოლო მანდარინის ნაყოფში პროლინისა და ა-ამინერბომჟავებს ხარჯზე). ორი სხვა ფორმის (ამონიუმის გვარჯილა და ამონიუმის სულფატი) შეტანისას თავისუფალი ამინმჟავების შემცველობა მაღალია. ნაყოფში მნიშვნელოვნად მაღალია.

შეტანის ვარიაციები მოკრეფილ მანდარინის ნაყოფში: არ არის ჰისტიდინი და მეთონინი და მნიშვნელოვნად მეტი α-ამინერბომჟავებს შემცველობა, მაშინ, როდესაც ფურთოხლის ნაყოფში გაცილებით მეტია ასპარაგინმჟავასა და პროლინის შემცველობა.

ამა თუ იმ ფორმის აზოტიანი სასუქების შეტანისას ცალკეულ ამინმჟავებს ნაყოფში დაგროვების გარკვეული ტენდენცია გააჩნიათ. ასე, მაგალითად, ლეიცინის, ტოროზინის, ფენილალანინის, იზოლეიცინისა და გლიცინის დაგროვება მანდარინისა და ფურთოხლის ნაყოფში მატულობს მხოლოდ ამონიუმის გვარჯილის შეტანისას.

აზოტიანი სასუქების ფორმების განსხვავებული მოქმედება შეიძლება აისნას ნაყოფში მომწიფების სიჩქარეზე მათი განსხვავებული გავლენით. როგორც ჩანს, ნაყოფის მომწიფებისას აზოტის შემცველ ნივთიერებათა გარდაქმნა ისეთივე ინტენსიურობით მიმდინარებს, როგორც ნებისმიერ ფორმირებად ჩეპროდუქციულ ორგანოებში. ამონიუმის გვარჯილის შეტანისას ისეთი პროტეინგენური ამინმჟავების შემცველობის გაღიდება, როგორიცაა ლეიცინი, ტიროზინი და ფენილალანინი, მოწმობენ ცილოვანი შენაერთების დაშლის პროცესის გაძლიერებაზე, მაშინ, როდესაც ასპარაგინმჟავასა და გლუტამინმჟავას, აგრძელებს ალანინის შემცველობა მატულობს აზოტის მინერალური ფორმების ზრდისა და შეავისების პროცესში გაცვლითრ რეაქციების გაძლიერების დროს.

მანდარინის ნაყოფის რბილობში პროლინისა და ა - ამინერბომჟავას მნიშვნელოვანი დაგროვება სწორედ მანდარინისათვის არის დამახასიათებელი და არა ფორთოხლისათვის. ფორთოხლისათვის დამახასიათებელია ნაყოფში თავისუფალი ამინმჟავების მნიშვნელოვანი დაგროვება შარლოვანის შეტანისას ძირითადად ასპარაგინმჟავასა და პროლინის ხარჯზე.

#### დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1) ფორთოხალი და მანდარინი აზოტიანი სასუქების ფორმების განმსვავებულ შეთვისებამობას ამჟღავნებენ. ფორთოხლისათვის უკეთესია ხატრიუმის ჰვარჯილი, ამონიუმის სულფატი და მონტანგვარჯილია, ხოლო მანდარინისათვის შარლოვანია ფორმალდეჰილური სასუქი და შარლოვანი;

2) ფორთოხლის მოსავალი აზოტის ხარჯზე 26-80 % -ით, ხოლო მანდარინის 3-35 % -ით მატულობს, მაშინ როდესაც მოსავლის მიერ ერთი კილოგრამი შეტანილი აზოტის ამოგება მანდარინის მნიშვნელოვნებიდ უფრო მაღალი (5,6-5,4 კგ) აქვს, ვიდრე ფორთოხალს (5,8-17,0 კგ). აზოტის ესოდენ განსხვავებული შეთვისება და მოსავლის მიერ მისი ერთი კილოგრამის ამოგება დაკავშირებულია მცენარეთა სახეობრივ შემაღენლობასთან, შეტანილ სასუქებთან და ხეების მოსავლიანობის დონესთან;

3) ფორთოხლის მაღალმოსავლიან ვარიანტზე ნაყოფი საშუალო ხარისხის მიერ მაჩვენებლებით ხასიათდება, მანდარინის უფრო ტებილი ნაყოფი კი მიღებულია შარლოვანას შეტანის, ანუ უფრო მოსავლიან ვარიანტზე;

სხვადასხვა ფორმის ერთ ხეზე აზოტის 250 გრამი ნორმით შეტანა გავლენას არ ახდენს ფორთოხლის აზოტიან, შედგენილობაზე და მნიშვნელოვნად ცვლის არაცილოვანი აზოტის შემცველობას მანდარინში. იგი ყველაზე მაღალია შარლოვანას, ხოლო ყველაზე დაბალი - ნატრიუმის გვარჯილის შეტანისას.

